

572
1970

1970 ივლისი №7

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
საბავშვო
საზოგადოებრივი

ბავშვი



ქართული

მადან ლაბანიძე

მზე რომ შთაზე გადმოდგება
და რომ განახსნასდგება,
ვეელას ვაშა აღმოსდგება,
ვეელა მისი ეშა სდგება.

ველ-მინდვრები ცოცხლდებიან
შხის სხივების ბრიალით,
ოქროს ზურებს მოსწუდებიან
ტორთლები წყრიალით...

შეგნებიდან, კორდებიდან,
სათითაოდ, ორ-ორად,
ცისკერ, შხისკერ
ტყვიასავით
მიქქრის ასი ტორთლას...



წინ გაუსწრო ერთმა ვეკლას,
მძლავრ განსდა ვეკლასე,
ჯამბაზივით შემოსეუჭდა
ოქროს საქანელასე.

მძლავრ—მსე და ტოროლბა,
დაბლა—დღეა ზღაპრული,
ეუავილებში ჩაფლულია
საქართველოს საფხული.

ბროლის გუმბათს ჰგავს ღაქვარდი,
მსე შიგ ჭაღად ბრწყინდება
და ცხ, თოფი რომ ესროლო,
მსხურვით დაგაცვიფდება.

მაგრამ სროლას ვინ გაბედავს,
შეშფოთებანს ტუე-ველის,
სურსე დადის სილუეტო
თოფიანი მვეკლის.

გადმოჰეურებს ვანებს, ჭაღებს,
ევალილოვან მდელიებს,
ფსიხლად ზეურავს ბერეკაცი
თავის სამფლობელოებს.


თოფს ჯოსსავით დაურდნობია,
ჩიბუსს ტენის თუთუნით:
„გენაცვალე, ჩიტო, სმაში!“ —
ცას ასცქერის ჰეტუნით...

მსე ნაონობს თავის ზღვაში,
მიწა მსეში ბანაობს,
ტოროლა კი სსივს ჰკივია,
იქნევს თავის მარაოს—
ოქროს საქანელასე
ფრთავაშლილი ქანაობს.

ნახატი შიში ნაკანინასი

11.316





დავით შავანიანი ნახატები ალ. შიშოლაშვილისა

მამაჩემისა არ იყოს, ბიძია სევაც მშენებელია. ჰოდა, ამას წინათ ხარაჩოდან ჩამოვარდა, ავურების გროვას დაასკდა და, თუკი ამას გადარჩენა ჰქვია, ძლივს გადარჩა, ფეხი მოიტეხა. ახლა საავადმყოფოში წევს და ჩვენ ყველანი—დედა, მამა, ჩემი სამი წლის ძმა—პაატა და მე, მის სანახავად მივეშურებთ.

საავადმყოფოს ნათელ დერფენებში სიჩუმე და სისუფთავეა. ათასნაირი წამლის სუნი ტრიალებს ჰაერში. ღინჯად დასვირობენ ყვარჯინიანი ავადმყოფები. ფეხაკრფეით მივ-

ლივართ და პალატებს ვითვლით: პირველი, მეორე, მესამე...

— აჰა, მოვედი!—ჩუმად ამბობს მამა და მოწინებით ვჩერდებით მეცამეტე პალატის თეთრ, მაღალ კართან.

ერთ ხანს ასე ვდგავართ, მერე მამა ფრთხილად აღებს კარს და შიგ მორიდებით იყურება.

— როგორც იქნა!—გვესმის პალატიდან სევას ხმა.

მამა შედის, მერე დედაც შედის, მერე მე შევიდვართ და... იქვე ვჩერდებით. ჩემს უკან პაატა თავს ვერ იმაგრებს და მეჯახება. რას ხედავს ამას ჩემი თვალები:

ღიდ და ნათელ პალატაში ერთადერთი საწოლი დგას. ზედ ძალზე უცნაურად წევს ჩვენი სევა. მხოლოდ სახე უჩანს, სხვა არაფერი. მუთაქასავით სქლად შეხვეულ და მაღლა აწეულ მარცხენა ფეხზე წვრილი მათული გამოუბამთ, რომელიც საწოლის თავზე დამაგრებულ რკინის ბორბალზეა გადავლებული და ბოლოზე კარგა მიმე ტვირთი ჰკიდია.

შეწუხებული დედა და მამა ნელ-ნელა უახლოვდებიან საწოლს, ლოყაზე კოცნიან ბიძია სევას.

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით, რა დაგემართათ?!—ბავშვებსავით ტუქსავს მათ ბიძია სევა.—ცოცხალი ვარ, თუ შეჩვენება? გამაგებინეთ: ვარ, თუ არა ვარ?

— ხარ! ხარ!—ერთხმად უმოწმებენ დედა და მამა.

— ჰოდა, ხარხარი არ სჯობს, ტირილს?—იცინის სევა,—დასხელით და ვილაპარაკოთ.

— რა არის ეს, ბიძია სევა?—ვეკითხები მე და ტვირთობიერ მავთულზე ვანიშნებ.

— მჭიმავენ, ჩემო ცოტენ, მჭიმავენ!—მპასუხობს ბიძია სევა,—სივანეში წახვედი, ცოტა უნდა დაგაგრძელოთ.

— კარგი, სევა! რა დროს ხუმრობაა?!—ეუბნება დედა,—როგორ გადმოვარდი ხარაჩოდან, როგორ გადარჩი...

— ეს თუ გადარჩენაა და, თქვენი მტერი



გადარჩეს ასე!—ვითომ იბუტება ბიძია სე-
 ვა,—ისე კი, ვინ თქვა ხარაჩოლან გადმოვარ-
 დაო? ეს ხომ ქორია, ფეხი ქამისგან მოვი-
 ტეხე.

— როგორ თუ ქამისგან?—უკვირს დედა-
 ჩემს.

— როგორ და ისე! ბევრი ვჭამე,—უხსნის
 სევა,—იმდენი ვჭამე, რომ სიმძიმისაგან კიბე
 ჩამიტყდა. რა არის ამაში გაუგებარი?

მე და მამა ვიციანთ, დედას კი არც ელიმე-
 ბა. ვიდრე დედა რამის თქმას მოასწრებდა,
 იღებდა პალატის კარი და... შემოღლის მორიდგე
 ეკიმი—მსუქანი, მკაცრი სახის ქალბ.

უცებ პალატა დედასკენ გარბის. მეც საქ-
 ციელწამხდარი ვიტუზები იქვე, კედელთან.

ექიმს ხელში ფონენდოსკოპი უჭირავს და, მწყურალ სახეზე აშკარად ეტყობა, საყვედურის თქმას რომ აპირებს, მაგრამ ვინ აცლის ისე ომანიანად ბლავის პაატა, ყველას გვაყარუებს. ამაოდ ვცდილობთ მის დამშვიდებას. არ უყვარს პაატას ექიმები: სულ მუდამ ნემსებით ჩხვლეტენ, ან პირში კოვზს სწრიან...

— ნუ ტირი, გენაცვალე!—ეფერება გულ-აჩუყებული მორიგე ექიმი, —რამ შეგაშინა, ამ ბიძის სანახავად მოვედი.—და სევას უბრუნდება, —როგორა გრძნობთ თავს?

— თავს?—უკვირს სევას, —ვიღაცაში აგერიეთ, მგონი, უქიმი! მე ფეხი მაქვს მოტეხილი, თავი კი არა!

— კარგი, ეგრე იყოს!—ამბობს ექიმი, —როგორა გრძნობთ ფეხს?

— მგონი ცოტა მოტეხილი მაქვს, —პასუხობს ბიძია სევა, —რამდენ ხანს მომიწევს წოლა, ექიმი?

— დიდხანს! — სერიოზულად ამბობს ექიმი, — თემოს ძეგლი გაქვთ გატეხილი და ალბათ ლურსმნის გაყრაც კი დაგჭირდებათ. — რა ლურსმნის, ექიმი? ნამდვილი ლურსმნის?

— დიახ, დიახ! ნამდვილი ლურსმნის. ოღონდ რკინისა კი არა...

— ბაშის ლურსმანი ბაა, მე არ გამიგონია...—ნერიოზულობს ბიძია სევა.

— უჟანგავ ლითონებს ვხმარობთ ხოლმე ამ შემთხვევაში, — უხსნის ექიმი, — ოქროს, ვერცხლს, პლატინას...

— რას არ იგონებენ ეს ექიმები!—აღშფოთებულია ბიძია სევა, —კი, მაგრამ, ლურსმნით კაცის შეკეთება სად გაგონილა?!

— დაწყნარდი, კაცო!—ამბობს მამა, —ასეა ალბათ საქმრო და რას იზამ!

— მაშ, თუ საქმროა, ბარემ მუცელში უჯრაც გამიკეთონ და მაგიდა ვიქნები!—თვალვებიდან ცეცხლს აფრქვევს სევა, —მერე დამალაგონ ზედ წიგნები, ქაღალდები და წერალი თავიანთი დისერტაციები! ან იქნებ ნალებთოცა და მქემები, დამადგან უნაგირი და, აჩუ, სევას!.. სხვა რაღა დამჩინია!

ექიმი მხრებს იჩეჩავს, როგორც ჩანს, ნაწყენია და კარისკენ მიემართება. მამა ფეხდა-

ფეხ მიპყვება, აჩერებს და ერთ ხანს ხმადაბლა საუბრობენ.

— არ გეწყინოთ, ექიმი!—ჩურჩულვებს მამა, —ალბათ, ძალიან სტიკვა და იმიტომაა ასე გაღიზიანებული, თორემ ისე...

ექიმი ვადის.

ცოტა ხნის შემდეგ დედა ეკითხება სევას: — როგორ მოხდა, ამოდენა ოთახში რომ მარტო წყებხარ? მოითხოვე თუ?..

— რას ამბობ, მარტოობას როგორ მოვითხოვდი?!—ამბობს სევა, —მარტოობაზე უფრო არაფერი მძულს ამ ქვეყანაზე! მითუმეტეს—საავადმყოფოში.

— აბა, ისე ცალკე პალატას მხოლოდ მომაცვდავებს ან მინისტრებს უთმობენ ხოლმე, — უკვირს მამას, —შენ კი არც ერთი ხარ და არც მეორე.

— რატომაც არა?!—გშმაკურად იღიმება ბიძია სევა, — მინისტრი რომ ვარ, არ იცოდით თუ?

— რისი მინისტრი ხარ, ბიძია სევა?—ეკითხები მე.

— რისი და ხერინვის. — იცინის სევა, — ვითომ ახალი ამბავია?

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე:

როდესაც სევა საკაცეთი მოუყვანიათ, ცხრა ასეთივე ფეხმოტეხილი ავადმყოფი დახვედრია ამ პალატაში. დილას კი, იღვიძებს და რას ხედავს: მარტოა. ისეთი ხერინვა გაუმართავს ყველა ასკინჯალათი გასცლია იქაურობას.

დღერფანში მოსვირნე ყვარჯნიან ავადმყოფებს კიდევ დიდხანს ესმით მეცამეტე პალატიდან ჩვენი სიცილი, მზიარული საუბარი, სევას ხუმრობა...

ბოლოს და ბოლოს, წასვლის დროც დგება და დედა ფეხზე ამდგარი ეუბნება ბიძია სევას:

— ჩვენ, რა თქმა უნდა, კიდევ მოვალთ. არ მოიწყინო! ბოდიში, რომ დღეს ვერაფერი მოგიტანეთ; არ ვიცოდით, რა შეიძლებაოდა, რა არა...

— ეეს!—ობრავს სევა, —ტყუილად შეწუხდებოდით! არაფერი მექმევა ამ ექიმების გადამკედეს.

— ისე, მაინც რას ინატრებდი?—ეკითხება მამა და თვალს უკრავს.

— ჩემი მორიდებულობის ამბავი თქვენ მშვენივრად მოგესვენებათ!—უპასუხებს ბიძია სევა.—თანაც, დიეტა, ასე თუ ისე, უნდა დაევიწყა. ამიტომ ბევრი არაფერი მსურს. რას ვინატრებდი?—თავს იქეპავს და ცალ თვალს ქუტავს:—ერთ ჩემსავით ფეხმოტეხილ გოჭს, მძავე კიტრს, საციეს, ცხელ მჭადს. თუ გინდათ, ღომსაც, ყველს, მწვანეხილს, ერთ ბოთლ შავ ღვინოს და ბოლოს, რა თქმა უნდა, თეთრი ბლის კომპოტს.

— კარგი დიეტა, მე და ჩემმა ღმერთმა!— განცვიფრებულია დედა.

— ეს ფეხმოტეხილი გოჭი რაღაა შე კაცო!—იციინს მამა.

მზიარულები ვბრუნდებით უკან. გზადაგზა ვფიქრობ: რაღა მაინცდამაინც ბიძია სევას მოუვიდა ეს?! ნუთუ არ შეიძლებოდა მის მაგივრად ვინმე ბოროტს მოსტეხოდა ფეხი, ვინმე ავაზაკს?!

ჩემს ამ მოსაზრებას მამას ვუზიარებ და ჩემს რას მელუნებდა მამა:

— ცუდ კაცს ხარაჩოზე ძალით თუ აათრევ, ჩემო ცოტნე, ნებით არ ავა! არ ავა და, მაშასადამე, არც გადმოვარდება. მაგრამ ვილაკა ხომ უნდა ავიდეს? ისე სახლი არ აშენდება. ჰოდა, ავიდა ბიძია სევა. მეც ავედიმე არაფერი მომევიდა, ის გადმოვარდა. რას იზამ! ეს შემთხვევის ბრალია. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო, ნათქვამია. ხომ ნახე, რა ყოჩაღად არის ბიძია სევა, რა მხნედ უქირავს თავი, ვითომც აქ არაფერიო. მორჩება თუ არა, ხარაჩოზე აძვრება ისევ. თვითონ ნახავ, თუ არა გჯერა. იცოდე: რაც უნდა მოგივიდეს, მთავარია გული არ გაიტეხო! დანარჩენი? ყველაფერი გავიმთვლდება!

აი, რა მითხრა მამამ. მამას კი, ბიძია სევასავით ხუმრობა, რაც მართალია—მართალია, არ ეხერხება, თორემ ისე, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაეჯერება.


ანათითი, ზანათითი

ნალი მაგარიჩიძე

— ანათითი, ზანათითი, რომელია შუათითი? დააკვირდი, მურიკელა, გამოიცნობს ამას ყველა!—

ეს სიტყვები თეთრმა კნუტმა მურას ჩაუჩურჩულა, თანაც თათი გაუწოდა, პატარა და ფუნჩულა.





მამის ნაამბობი

ლილია კონი

ნახატები ი. ნაზნაიკინისა

ვალდრას მამა—ილია ნიკოლოზის ძე, სახალ-ხო სკოლების ინსპექტორი იყო. იგი ყველა სოფელს შემოივლიდა ხოლმე,—ან სკოლები თუა სოფელში, ან ბავშვები როგორ სწავლობენო.

მამინ სკოლა ყველა სოფელში როდი იყო; სადაც იყო, ბევრს არაფერს ასწავლიდნენ. ილია ნიკოლოზის ძეს ეს ამბავი ძალიან აწუხებდა.

ერთხელ, იგი უგუუნბოდ დაბრუნდა შინ.

—წარმოგიდგენიათ,—დაიწყა ილია ნიკოლოზის ძემ, ვახშმად რომ დასწნენ,—ჩავდივარ ერთ-ერთ სოფელში და ვეკითხები იქაურებს: სკოლა სად არის-მეთქი?—არ ვიცითო. თქვენი ბავშვები, სწავლობენ-მეთქი?—ზოგიერთები—კიო.

—მერე და, სად სწავლობენ?

—აი, იქ, ქასთან რომ ქოზიაო.

მივედი და რას ვხედავ: ერთი გაუბედურებული ქოზი გვას, ბნელი და გაჭვარტლული. ლუმელთან დიასახლისი ტრიალებს, კუთხეში ხბო მიუბამთ. სარკმელთან მაგიდას რამდენიმე ბიჭი უზის და ოჯახის უფროსი ანბანს ასწავლის.

—თქვენ მასწავლებელი ხართ?—ვეკითხები ამ კაცს.

—რის მასწავლებელი,—მეუბნება იგი,—ანბანი ძლივს ვიცი. ბავშვებს ასოებს ვასწავლი. მეტი რა შემიძლია, მეც ერთი უსწავლელი კაცი ვარ.

მეორე სოფელშიც ასეთი ამბავი დამხვდა:

სკოლა რომ ვიკითხე, ერთი მიტოვებული, გამოცივებული სახლი მიჩვენეს. ამ სახლში უწინ ეკლესიის დარაჯი ცხოვრობდა თურმე. ფანჯარასთან, მაგიდას ჩამოვჯდარი—ჩამოფლეთილი სამი

ბიჭი მისჯღმომდა, ანბანს ჩაჰკირკიტებდნენ.
— მასწავლებელი სადა გაყავთ? — ვეკითხები
ბიჭებს.

მათი მასწავლებელი თურმე მღვდელი ყოფილა
და გაღმა სოფელში დასაფლავებამე წასუდა.

— აქ რას უბიხართ ამ სიციფეში, შინ ვერ
წახვადთ?

— შინ რა წაგვიყვანს, მასწავლებელმა გვი-
თხრა, ანბანი თუ არ დაიზებირეთ, გაგჯოხნათო.
ამას ჰქვია სკოლა?!

— მამა, ასეთ სკოლაში რა უნდა ისწავლებოდნენ
ჰკითხა ვალდიამ.

— საქმეც ეგ არის, — მიუგო მამამ, — აბა,
მითხარი, შენს სოფელ მეგობრებში ნასწაველი
თუა ვინმე?

ვალდიამ ვინღა არ გაიხსენა: ვისთან სკოლა-
ზე დადიოდა, ვისთან თევზაობდა, ვისთან ჩიტებს
მახეს უგებდა, ვისთან მღეროდა და თამაშობ-
და, — და არც ერთმა წერა-კითხვა არ იცოდა.

თარგმანი **ლილია პარპიძე**



1. 316



ფარნავაზ მეფე



შენ, ჰე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველ წიგნი პირველი,
შენ დაუმჯიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი.

ბრიგოლ მარალიანი

ჩემო ზატარა მეგობარო!

შენ უკვე იცი ქართული ანბანი; წერაც შეკთვლია და კითხვაც. მაგრამ ვიფიქრია, როდის შეიქმნა იგი?

ქართული ანბანი შექმნილია 23 საუკუნის წინათ, საქართველოს მეფის ფარნავაზის მიერ.

ამას ამბობს XI საუკუნის ქართველი მოღვაწე ლეონტი მროველი და XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მსითარ აირიუხანელი.

ამთ ვარდა, ფარნავაზ მეფეს, — ქართული ანბანის შემქმნელად აღიარებენ: სულხან-საბა ორბელიანი, ვასუშტი ბატონი, ილია ოქროშკვდლიშვილი, მარი ბროსე...

ფარნავაზი 27 წლისა გაბეგებულა. უმეფავს 65 წელიწადს.

გადმოცემით იგი ეოფილა "კაცი კონიერი და მხედარი შემპართებელი". საქართველო რვა საერისთავოდ დაუკეცა.

ქალაქ მცხეთისთვის მტკიცე გალავანი შემოუკვლია.

აუქმებია ცისებობი: შორაზანი და დიშა.

აღუძრთავს არმაზის კერძი.

რაც მთავარია, შემოუღია "მწიგნობრობა ქართული."

ოღონდ, რა თქმა უნდა, ქართული ასოები ისეთი არ იყო, როგორიცაა დღეს.

აი, მაგალითად, როგორ დაიწერებოდა მაშინ შენი საუკვარელი ქურნალის სასელწოდება "დილა" — „**დილც**“ დღეს, სამწუხაროდ, საკადრისად არც კია ცნობილი ჩვენი ესოდენ ღვაწლმოსილი წინაპრის სასელი.

მის სასეს ზომ ჩვენამდე არ მოუღწევია და არა.

ჩვენი თხოვნით მსატკავრძა ზურაბ კახანაძემ დასატა ფარნავაზ მეფე.

დაე, მომავალმა თაობამ ზატარაობიდანვე შეიტკბოს სახე და სასელი კაციისა, რომელმაც 23 საუკუნის წინათ შექმნა ქართული ანბანი.



როსმე მეფე ფარნავაზი
იგონებდა ქართულ ანბანს,
და წიგნები მოვეითბრობენ
გარდასულთა დროთა ამბავს.

ბალაგონი მამია



დუბინევი

საქართველო
შრომობს



„სწავლობს გიგლა ტიტინა, მზემ
შემოუქვრიტინა“...—აბა, ვინ არ იცით
ეს ლექსი!

ვანა მარტო ეს?
ბევრი, ძალიან ბევრი კარგი ლექსი
დაგვიწერა ცნობილმა ქართველმა პო-
ეტმა—რაფიელ ერისთავმა: „შიპატივე-
ბა სასწავლებელში“, „ზამთარი“, „მერ-
ცხალი“, „რთველი“, „ლამის მესხე“...
ვბეჭდავთ ნაწყვეტს რაფიელ ერის-
თავის ლექსიდან—„სამშობლო ხეცსუ-
რისა“.

რუსიელ პიისტაჰი
(1824—1901)

საბოგლო ხეცსურისა

სადაც უშობილვარ, გაყსრდილვარ
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა შეგუღვის,
იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიურმითვე ვჩუქულვარ,
ჩემი სამშობლო ის არი.
არ გაყცვლი სალსა კლდეებსა
უგმდავების სეყდა,
არ გაყცვლი მე ჩემს სამშობლოს
სსევა ქვეყნის სამოთსეყდა!

ნაბატი ნოღარ გაყრინდაჰვილია





სიჭოთხიდან თავი აკა სვკივა

იპონური ზღაპარი

მდინარის ზირას ორი გლეხი მიწას სწავდა, ერთი—გაღმა, მეორე—გამოდმა.

— ჰეი, მეწობელო, — განსძახა გამოდმელმა, — რას თესავო?

გაღმელმა ხმა არ განსცა, ხელით ანიძნა, გამოდი და გეტყვიო.

გამოდმელმა იფიქრა, ნეტა ისეთს რას უნდა თესავდეს, სძამაღლა თქმა რომ არ შეიძლებოდა. გავიდა გაღმა და გლეხს ჩურჩულით ჰკვი-

თხა: — თუ კაცი ხარ, მითხარი, რას თესავო?

— ფეტვსო! — ჩურჩულით მიუგო გაღმელმა.

— კი, მაგრამ რატომ სძამაღლა არ ამბობ, რისა გეშინიაო?

— ჩემი სახლის სწვენში ბელურა ბუდობს, მეშინია არ გაიგონოს და ფეტვი არ ამიკენკოსო.

თარგმნა **სილა პაროსანიძე**

ნახატი **ზურაბ უორჩხიძის**

გრაბუნა ბიჭები

საბავშვო ჟურნალი



შედეგად

ზურბი, ვეკ და გონი ვიპოვეთ — მამაჩვენს.

— ზედეგად გეპოვებ — იყავი გე ზურბი.

— თუე მამს, მუელი რას დამე-
დებს? — თუე ზურბი.

— მე კე მხელი მამს, მუელი რას
მედეგებენს? — მამედე თუე ვეკ.



მე გრის ვიპოვე სხინი მუელივე-
დენს მამს.

ზურბი და ვეკ მამედეგად თუე-
ნი და მხელი მუელი დამედეგად და ვეკ-

მამედეგად მამედეგად.
გონი მამედეგად, იქვე ვიპო-
ვებნი, დამედეგად ზედეგად და
მამედეგად ვიპოვეთ.

საბავშვო ჟურნალი



კახეთელი

შედეგად

ცხენზე ვიპოვეთ,
ლამაზე ცხენზე,
მამედეგად,
მამედეგად...

რა ცხენი მამს, ბიჭო, მერი!
თუთრმუხლა და ალისდერი!

ნამედეგად და რამედეგად
მამედეგად ლალი, ნელი...
ხედეგად უნდა მამედეგად,
რა კარგია კარგული!

საბავშვო ჟურნალი

მეუბნის

შედეგად

თაკომ ტირილი დამედეგად:—
გამედეგად ვარ, დელი!
სამედეგად განზე გამედეგად,
თუთრის რამედეგად აქვე მამედეგად.
ამა, მამედეგად, თაკონი,
კატა რამედეგად კამედეგად!
არ გამედეგად აქამდე?—
მამედეგად კერი ტამედეგად!

საბავშვო ჟურნალი



ბაჭი

დათუნიას

თავგადა- საუკედი



ფლორანს კულა

ზ ლ ა პ ა რ ი

ნახატები ზარბა ზოჩხიძისა

იყო ერთი ბურთივით მრგვალი დათუნია ბაჯი. კამისა და ძილის მეტი არაფერი ახსოვდა, დაბანა კი ჭირის ღღესავით ეჯავრებოდა.

— ბაჯი, უნდა გაბანაო, — უთხრა ერთხელ დედამ, — შენ პატარა დათუნია ხარ, პატარა დათუნეები კი სულ სუფთა და სულ დაგვრიტინებულღები უნდა იყვენენ.

— თუ ასეა, აღარ მინდა დათვობა, — თქვა ბაჯიმ. ადგა და ტყეში გაიპარა.

მიდის დათუნია, მიდის და... უცებ ბუჩქიდან დედა კურდღელმა გამოსძახა:

— ეი, ბაჯი! საღ მიდიხარ?

— თვითონაც არ ვიცი, — უპასუხა ბაჯიმ, — არ მინდა დათვობა და შინიდან გამოვიპარე.

— თუ გინდა, კურდღელი იყავი და ჩვენთან დარჩი, — ბუჩქიდან ბაჯიებმა გამოიჟიციტეს.

— კარგი, კურდღელი ვიქნები, — დათანხმდა ბაჯი და კურდღლებთან დარჩა.

ბაჯიებს ბაჯის ყურები და თათები სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. არც ბაჯის მოსწონდა მათი საჭმელ-სასმელი.

ერთ ღღეს ბაჯიმ დედა კურდღელს უთხრა: კურდღლობა აღარ მინდა, უნდა წავიდეო.

ბაჯი გზას გაუღდა.

— ეი, ბაჯი, საღ მიდიხარ? — ჩამოსძახა ხიდან ციყვმა.

— თვითონაც არ ვიცი! დათვობა არ მინდოდა და შინიდან გამოვიპარე, არც კურდღლობა მეპრიანა. რა ვინატრო, აღარ ვიცი.

— დარჩი ჩვენთან და ციყვი იყავი! — ფულუროდან თავები გამოჰყვეს პატარა ციყვებმა.

— კარგი, ციყვი ვიქნები, — თქვა ბაჯიმ და ხეზე აცოცდა.



ბაჯი მთელი ღღე თბილის საძებნელად
დაჰყვებოდა ციყვებს. ციყვეუნი დასცინო-
დნენ: მას ხომ არც ფუშუშა კული ჰქონდა
და თბილის ძებნაშიც არ იყო გაწაფული.
ერთ ღღეს ბაჯიმ ღვდა ციყვს უთხრა:
— ციყვობა აღარ მინდა, უნდა წავიდყო.



ბაჯი გზას გაუღდა.
მიღის ბაჯი, მიღის და კატების სახლს
მიადგა.
— ბაჯი, სად მიდიხარ?— ჰკითხა ღვდა კა-
ტამ.
— თვითონაც არ ვიცი. დათვობა არ მინ-

დოდა და შინიდან გამოვიპარე, არც კურდ-
ღლობა მევაშნიკა და არც—ციყვობა.

— ღარჩი ჩვენთან და კატა იყავი!— კარში
კნუტები გამოცვივდნენ.

— კარგი, ვიქნები კატა!— თქვა ბაჯიმ და
კატებთან ღარჩა.

— ბაჯი, — უთხრა ღვდა კატამ, — თუ გშია,
ჩვენთან ერთად ინადირე. თავგები დაიჭირე.

— ნადირობა კარგია, მაგრამ თავგებს პირს
ვერ დავაკარებ.

— მაშინ თავს მაინც მიხედე, დაიბანე პი-
რი, მოისვი თათი ყურებზე.

— არა, არა, — გაბრაზდა ბაჯი. — არც კა-
ტობა მინდა, არც თავგები მიყვარს და არც
პირის დაბანა.

ბაჯი თავის ღვდასთან გაიქცა.

— ღვდა, ისევ პატარა დათუნია მინდა
ვიყო!

— ძალიან კარგი, — გაეხარა ღვდა და-
თეს, — მოდი ჩემთან, ჩემო პატარა უჭკუო
შვილო, მოდი, დაგბანო.

ფრანგულიდან თარგმნა რუსულად გომეზოვამ



ქ ს ზ უ ჯ ც ე რ ი



გიორგი მთავრული

კუდბუთქუნა ციყვი
 ქამა სკოს ახმობს.
 თაგუნია, წუწუკი,
 დადის ახლომანლო,
 უფურებს და გულში
 იციანის და ხარობს,
 ფიქრობს, ხმედი სკოლ
 როგორ მოიპაროს!



 — კუტკალია, კუტკალი!
 კუტკალიებს უთხარი:
 მთელი ქვეყნის კალიებს
 ცალი ფრთა ჯობს ფუტკარის!..
 ბაჩილე ჟანვარია



წვადვინა გორის რაონის სოფ. ნიქოზის
 სკოლის მოსწავლემ მარინე გლინიძემ

გამოსანა
 ბუკი არის პაწაწინა,
 ჩაბერავ და არ უკრავს,—
 ღიტრიანის ავსებმაში
 ეხმარება მამუკას.
 გიორგი ნარაშვილი






მუსიკა რუსულან სანისკვარაძისა

ხათუნა

სახტუნაო მოუტანეს
პაწაწინა ხათუნას,
როცა თვითონ დაიღალა
ღედოფალა ახტუნა.

და გაუტყლა უცებ ცხვირი
ჭრელკაბიან ხატულას.
ხათუნა კი ველარც ამჩნევს
საქმით ისე გართულა.



მთავარი რედაქტორი მუხრან მანუჩარაძე


საბჭოთავო კულტურა კვანძი მშენებელი, ლეილა შაბაძე, ჯანლა ლომოვა, ვაჩა ლომიკა, გიგინეა
შაველაშვილი, ირაკლი შიგინაძე (ივ. შიგინაძის შვილი), ვალეკა ცხაპუაძე (საბ. ტელეკტორი), გივი ანდუკაძე
საქ. დამ. ცე-ის დ. გ. ი. ლენინის სახელობის შიპს პრინტის ოფისისთვის დასამუშავებელი ნაშრომის
უფროსი ნატა ბ. ხაშვიანი დასამუშავებელი ნაშრომისთვის პ. რიბინიანი
შეამართო ჩუბუკიძე, გამომცემლის, სტამბა-თბილისი ტიპობ. 14 ტელ. შიპსისთვის - 93-47-30, 93-98-12,
3/მე. მედიის - 93-10-32, 93-98-17; საბ. ტელეკტორი - 93-98-18; ანთელ - 93-98-19; სადღესასწაულო - 93-98-16.
პრესის ინჟინერი გ. ი. ვ. 7. ხალონური უსახტულო 13/7-70 მ. ქალაქის სოფ. თიქარა,
თბ. სა. დორ. 25, ტრავა 142600 შიპს, № 111. „მთა“ № 7, შიპსისთვის უსახტულო 20 კაბ.

საქ. ცე-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии



6. Feb 1958

საქართველოს
განმანათლებლო
სისტემის



ტყეში—ნახატი გია სუბიძეაშვილისა, 7 წლის, თელავი.
 მტეხატე—ნახატი გოჩა კახრაშვილისა, 7 წ. ტყიბული.
 დეზი—ნახატი ესმა არაშელაძისა, 7 წ. სულოს რაიონი, სოფ. ოქტომბერი.
 ირემი—ნახატი ნანი ამირხმოვისა, 9 წ. დაბა ლენინგორი.
 შღვის ქვეშე—ნახატი შალვა კოკოხაშვილისა, 7 წ. თბილისი.
 ზაფხული—ნახატი შაია ჩიხრაძისა, 6 წ. თბილისი.

76055

